ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო შორის

ქ. ბათუმი 01.11.2021 წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **„სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო“ (შემდეგში „სააგენტო“) ს/კ 245631428,** წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის **თემურ ყურშუბაძის** მიერ (შემდეგში „მხარეები“), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება–მოვალეობები:

1. **„სააგენტო“** უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამის **„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“** ფარგლებში მსმენელთა მიერ მომზადების პროგრამით გათვალისწინებული თეორიული/პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით მხარეებს შორის შეთანხმებული მსმენელების კონტიგენტის ფარგლებში (20 მსმენელი).

2. **მხარეები:**
   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
   ბ) უზრუნველყოფენ მსმენელთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე „სააგენტოს“ ბაზაზე;
   გ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიული მომზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2026 წლამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო**
ადმინისტრაციული მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)	მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზ. N51
მერაბ ხალვაში	**თემურ ყურშუბაძე**
რექტორი, პროფესორ	დირექტორი